



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 356

ქალაქი ქუთაისი 25 იანვარი 2017 წელი

ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 2006–2015 წლებში მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით შექმნილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენისა და ამ ჯგუფისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 2006-2015 წლებში მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით შექმნილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე, ამ სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის, გრიგოლ ქობალიანის ანგარიშის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 2006–2015 წლებში მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით შექმნილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში.

/დროებითი სამუშაო ჯგუფის ანგარიში
განკარგულებას თან ერთვის/

მუხლი 2. შეუწყდეს უფლებამოსილება ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 2006–2015 წლებში მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით შექმნილ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებით სამუშაო ჯგუფს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ
2006-2015 წლებში მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების
გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით შექმნილი ქალაქ
ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი
სამუშაო ჯგუფის ანგარიში

ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შექმნილი დროებითი მუშა ჯგუფის მიზანი იყო 2006-2015 წლებში მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გასხვისების კანონიერების შესწავლა. თავიდანვე გამოითქვა მოსაზრება, რომ მუშა ჯგუფში გაერთიანებულიყვნენ დეპუტატები ფრაქციებიდან და სხვა დაინტერესებული პირები. მიუხედავად დიდი მცდელობისა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩართულიყო მუშაობაში, რიგი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო არ მოხერხდა. საბოლოოდ ჯგუფი შემდგენიარად დაკომპლექტდა:

1. გ.გაბადაძე
2. ს.გუგავა
3. ნ.ლატარია
4. გ.უკლება
5. გ.ტოროშელიძე
6. გ.ქობალიანი

მუშა ჯგუფმა იმუშავა საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებით. საქმიანობის პრინციპი იყო: ობიექტურობა, გამჭვირვალობა, კოლეგიალურობა, საჯაროობა.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ 2006 წლის მასალები მერიაში არ მოიპოვებოდა და შესაბამისად, ის წელიც არ იქნა შესწავლილი. 2007 წელს მოქმედებდა საქართველოს კანონი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ, რომელიც არ ითვალისწინებდა საკრებულოს თანხმობას უძრავი ქონების გასხვისებაზე.

2008 წლიდან შეიცვალა რეგულაციები და ქონების გასხვისებაზე უკვე ეკონომიკის, შემდეგ კი, ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროების თანხმობა გახდა საჭირო. ქონება გადიოდა ღია აუქციონზე და საჯაროდ იყიდებოდა. 2014 წლიდან შემოღებულ იქნა ელექტრონული აუქციონი და უკვე ყველა დეპუტატისთვის ცნობილია ქონების გასხვისების ტექნოლოგია.

მუშა ჯგუფის წევრება (გ.ტოროშელიძე, გ.გაბადაძე, გ.ქობალიანი) შევისწავლეთ მოცემულ წლებში გასხვისებული ქონება და წარმოვადგინეთ მოკლე სტატისტიკა:

- 2007 წ. – 22 ობიექტი
- 2008 წ. – 229 ობიექტი
- 2009 წ. – 92 ობიექტი
- 2010 წ. – 65 ობიექტი
- 2011 წ. – 50 ობიექტი
- 2012 წ. – 82 ობიექტი

2013 წ. – 188 ობიექტი

2014 წ. – 69 ობიექტი

2015 წ. – 75 ობიექტი

თანხობრივი თვალსაზრისით ბიუჯეტში შევიდა:

2008 წ. – 1,419,963 ლარი და 790,630 დოლარი

2009 წ. – 1,041 742 ლ.

2010 წ. – 838, 110 ლ.

2011 წ. – 3, 559, 099 ლ.

2012 წ. – 740 592 ლ.

2013 წ. – 877, 849 ლ.

2014 წ. – 2,162, 387 ლ.

2015 წ. – 2, 605, 583 ლ.

მუშა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ობიექტები გასხვისებულია იმ დროისათვის არსებული კანონის შესაბამისად და დადგენილი წესის მიხედვით. მუნიციპალიტეტის ქონების სხვადასხვა ფორმით განკარგვისათვის გამოცემული ადმინისტრაციული აქტები შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის I პუნქტის „ე“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 54-ე მუხლის I პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილ წესებთან, მაგრამ აქვე მივიჩნევთ, რომ ნაწილი ობიექტებისა სასურველია არ განკარგულიყო. ძირითადად ეს ეხება სკვერებისა და ქალაქისათვის ისეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ადგილებს, რომელთაც ისტორიული და შეიძლება ითქვას, ტრადიციული ფასეულობა აქვს. მაგალითად: სკვერის ნაწილები, რუსთაველის გამზირის N95-ის ჩრდილოეთით, ვარლამიშვილისა და წმინდა ნინოს ქუჩების გადაკვეთაზე, ირ.აბაშიძის ქუჩის N6-ის სამხრეთით, ირ.აბაშიძის ქუჩის N27-ის მიმდებარედ, ბუკიას ქუჩის N3-ის აღმოსავლეთით. საერთო ჯამში, ნიკვას ქუჩაზე გასხვისებული ნაკვეთების საერთო ფართობი I – 303 მ², II – 305 მ², III – 890 მ², IV – 300 მ², V – 574 მ², ბუკიას ქუჩაზე – 400 მ², გუგუნავას ქუჩაზე – 272 მ², ბუხაიძის ქუჩაზე – 454 მ² და 509 მ², სამტრედიის ხიდის მიმდებარედ – 500 მ², 9 აპრილის ქუჩაზე – 419 მ², თაბუკაშვილის ქუჩაზე – 638 მ², ასათიანის ქუჩაზე – 500 მ², ერთ დღეს ერთიდაიგივე ბრძანებით, 20 ობიექტადაა გასხვისებული სკვერებისა და ტროტუარების ნაწილი ქალაქის თითქმის ყველა უბანში. იტალიური პიცერიის დასავლეთით გასხვისებულ ტროტუარზე ყოვლად უსახო შენობა ჩადგმული, რომელიც სრულიად ამოვარდნილია კონტექსტიდან და აუშნობს პროსპექტის იერსახეს. ასევე, სასურველი იყო, ქალაქის ცენტრში, ძველი სახანძროს შენობა ქალაქს უფრო მომგებიანად გამოეყენებინა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ობიექტი არასდროს წარმოდგენდა სკვერს და სულ სხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა. მათი სკვერებად დარეგისტრირება და შემდგომ აღნაგობის უფლებით გაცემა საფუძვლიან ეჭვს ბადებს, რომ ამ პროცესს მიზანმიმართული ხასიათი ჰქონდა.

მინდა მივმართო ქალაქის ხელმძღვანელობას, დეტალურად შეისწავლოს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სკვერები, გაზონები და სხვა სახის ქონება და შესაბამისი გამოყენება მოუძებნოს მათ. ასევე, გვინდა საკრებულოს მოვასხენოთ, რომ უკანასკნელ წლებში ქალაქი მოიცვა ე.წ. კიბის უჯრედების ბუმმა, რაც ვფიქრობთ, რომ გაუმართლებელია.

ასევე, მუშა ჯგუფს მიაჩნია, რომ ხსენებული ქონების სარეალიზაციოდ გამოტანისათვის გამოცემული აქტები არასაკმარისადაა დასაბუთებული ფაქტობრივი გარემოებებით. კერძოდ, არცერთი ადმინისტრაციული აქტის განმარტებითი ბარათი არ შეიცავს იმ გარემოებებზე მითითებას, რაც უდავოდ დაადასტურებდა ამა თუ იმ ქონების

გასხვისების მიზანშეწონილობას (ექსპერტიზის დასკვნას, სივრცითი მოწყობის გეგმები, ეკონომიკური განვითარების გეგმა). ყოველივე გამოწვეულია იმითაც, რომ ქალაქს დიდი ხანია არ გააჩნდა განვითარების გენერალური გეგმა.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ობიექტების გასხვისებისას მოქმედებდა მხოლოდ ერთი პრინციპი – გაიყიდოს, ბიუჯეტში ფული შევიდეს და არა ქალაქის განვითარება, მისი იერსახის გაუმჯობესება და მომავლის პერსპექტივები.

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29-ე სხდომაზე, მ/წლის 25 იანვარს წარმოადგინა დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ, გრიგოლ ქობალიანმა.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი